ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7562313

ნომერი: AR11100031

თარიღი : 13.07.2025

გაცემის თარიღი : 22.07.2025

გაცნობის თარიღი : 22.07.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ნადირა ხოშარაულის ქუჩა, N 8/ალექსი გოგოლაურის ქუჩა, N 25; ქალაქი თბილისი, ნადირა ხოშარაულის ქუჩა, N 8/ალექსი გოგოლაურის ქუჩა, N 25; ქალაქი თბილისი, ნადირა ხოშარაულის ქუჩა, N 8/ალექსი გოგოლაურის ქუჩა, N 25; ქალაქი თბილისი, ნადირა ხოშარაულის ქუჩა, N 8/ალექსი გოგოლაურის ქუჩა, N 25; ქალაქი თბილისი, ნადირა ხოშარაულის ქუჩა, N 8/ალექსი გოგოლაურის ქუჩა, N 25; ქალაქი თბილისი, ნადირა ხოშარაულის ქუჩა, N 8/ალექსი გოგოლაურის ქუჩა, N 25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა ბიბილაშვილი პ/ნ 01001078900
- თბილისი, გლდანი, ტიხონოვის 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, ცეცხლმედეგი გამმიჯნავის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის, მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

1. ვინაიდან საპროექტო დავალებით გათვალისწინებულ სამუშაოებს (ფართების გამიჯვნას) ითხოვთ ექვს სხვადასხვა ფართზე, რომლებსაც ცალ-ცალკე რეგიტსრაცია აქვთ, საჭიროა საკითხი დააყენოთ ცალ-ცალკე საკადასტრო კოდზე. ამ განცხადებაზე დატოვეთ ერთ-ერთი საკადასტრო კოდი და სხვა საკადასტრო კოდებზე დაარეგისტრირებთ ახალი განცხადებები. ამავე განცხადებაზე გეძლევათ საშუალება ისარგებლოთ რუკის ცვლილების ღილაკით.

2. დათარიღებული, უახლესი ფოტომასალა (ინტერიერის და ექსტერიერის); ექსტერიერის ფოტოზე კონტურის სახით მოინიშნოს საპროექტო არეალი.

3. სრულყოფილი ანაზომი და საპროექტო გეგმა, საკომუნიკაციო შახტების, ფუნქციებისა და ექსპლიკაციის მითითებით, ხელმოწერილი შემსრულებლის მიერ;

4. შეთანხმებული პროექტის შესაბამისი სართულის გეგმა მშენებლობის ნებართვის ბრძანების ასლთან ერთად ან ტექნიკური აღრიცხვის არქივში დაცული სართულის გეგმის ასლი, საპროექტო არეალის მონიშვნით;

5. ექსპლუატაციაში მიღების ბრძანება და მასზე თანდართული გეგმები.

6. "ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების შესაბამისად მომზადებული საექსპერტო დასკვნა, იმასთან დაკავშირებით, რომ საპროექტო სამუშაოების განხორციელების შედეგად არ ხდება შეუსაბამობის ხარისხის ზრდა;

7. წარმოსადგენია განახლებული აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს ან ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნა ჩასატარებელი სამუშაოების დასაშვებობასთან დაკავშირებით, რომლითაც დასტურდება, რომ საპროექტო სამუშაოები საფრთხეს არ შეუქმნის შენობა-ნაგებობის კონსტრუქციულ სიმტკიცეს, მდგრადობას, საიმედოობას, სეისმომედეგობასა და ცეცხლმედეგობას. კონსტრუქციულ დასკვნაში განხილულ იქნეს განაცხადით მოთხოვნილი საკადასტრო ერთეულების გამიჯვნის შესაძლებლობა, განაცხადში წარმოდგენილი გამიჯვნის აზმოვითი ნახაზების შესაბამისად.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.